ხობის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს განმეორებით აუქციონს

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

დანართიN1

N	ქონების დასახლება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სავარაუდო ფართი კვ.მ	საწყისი ფასი	ბიჯი 10%	,,ბე“ 10%	შენიშვნა
1	გრანიტის ფილები	1975	150	900	90	90	

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2017 წლის 4 დეკემბერი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო -300403376, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში ხობის მუნიციპალიტეტუის მერიასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამღდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ,,ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ მერიაში);

ბ),,ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა , თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი-ლამზირა თოდუა -ტელ-599-85-60-91

ხობის მუნიციპალიტეტის მერია